კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი, ენუქიძის №5 (ს/კ: 01.19.22.003.001)

1.06.2023

სააქციო საზოგადოება „პოლიგრაფიული ჰაბი“-ს (ს/ნ:208140439) დაკვეთის საფუძველზე დაგვევალა ჩაგვეტარებინა ექსპერტიზა მისამართზე: ქალაქი თბილისი, ენუქიძის №5 (ს/კ: 01.19.22.003.001) საამქრო სტამბა საწყობის შენობის რეკონსტრუქციის კონსტრუქციული პროექტისთვის (რომელიც მოიცავს არქიტექტურულ ნახაზებზე დამუშავებულ კოსტრუქციულ მუშა ნახაზებს)

პროექტის მიხედვით დაგეგმარებულია საწყობის რეკონსტრუქცია. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას დაგეგმარებული კონსტრუქციული ელემენტების განლაგებისა და საანგარიშო სქემის მართებულობა პროექტში მოცემული კონსტრუქციული ნახაზების მიხედვით, შესაბამისად გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე.

პირველ რიგში შესწავლილი იქნა ინჟინერ–გეოლოგის მიერ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც მოცემულ პროექტთან მიმართებაში მისაღებია და საანგარიშოდ დამაკმაყოფილებელია. წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები შეესაბამება ნორმებს და სამუშაოები შესრულებულია ჯეროვნად.

აღნიშნულ პროექტზე ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, სადაც შესწავლილ იქნა ყველა ის კონსტრუქციული მახასიათებლებები და საანგარიშო სქემა, რაც მოიცავს შენობის მნიშვნელოვან მზიდუნარიან დეტალებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობების სქემა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. საძირკველი. შენობის საძირკველი წერტილოვანი რკინაბეტონის მონოლითური ფილებია ჩაღრმავება 0.000 ნიშნულიდან -3,00მ-ია. წერტილოვანი საძირკვლის კონსტრუქცია, რომლის ზომებია წ.ს.-1__2,00 X 2,00 X 0.40 მ, ერთმანეთთან დაკავშირებულია რანდკოჭებით, რომლის ზომებია 0.50მ X 0.40 მ. მასში გამოყენებულია 20 მმ. დიამეტრის 8 ღერი არმატურა (არმ. კლასი A500C). საძირკველში გამოყენებულია ბეტონის მომზადება-კლასი B10 და ბეტონი – კლასი B 25. წარმოდგენილი საძირკველი გეგმარების მიხედვით შეადგენს ერთ დონეზე და კვეთზე გათვლილ კონსტრუქციულ სქემას, რაც განპირობებულია საპროექტო გეომეტრიული ფორმებისა და პარამეტრების მიხედვით. შესწავლის საფუძველზე საძირკლების გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია. შესაბამისად საძირკვლის კონსტრუქციული გეგმარება და საანგარიშო სქემა თავისი მუშა არმირებითა და ბეტონით წარმოდგენილ რელიეფზე ნაწარმოებია მართებულად.

2. კარკასი – საანგარიშო სქემა სივრცულ-ჩარჩოვანი ანაკრები რკ.ბეტონის კარკასული ტიპისაა, - რკინაბეტონის სვეტების ზომები არის 400 X 400 მმ. მათში არმირებისათვის გამოყენებულია 20 მმ. დიამეტრის 8 ღერი არმატურა, არმატურის კლასით A500C. სვეტები ერთმანეთთან დაკავშირებულია რიგელებით, მ.რ.-1 კვეთის ზომით 500 X 400 მმ. მასში არმირებისათვის გამოყენებულია 8 ღერი არმატურა, დიამეტრით 20 მმ. (არმ. კლასი A500C) ბეტონი – კლასი B 25. შესწავლის საფუძველზე რკინაბეტონის კარკასული გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში

დამაკმაყოფილებელია. შესაბამისად კონსტრუქციული გეგმარება და საანგარიშო სქემა თავისი მუშა არმირებითა და ბეტონით ნაწარმოებია მართებულად.

3. გადახურვის ფილა – შენობების გადახურვის ფილები 200მმ-ია. მასში არმირებისათვის გამოყენებულია ორმაგი ბადექსოვით არმატურე დიამეტრით 12 მმ. კლასი A500C რომელთა ბოლოები ჩაანკერებულია რიგელებსა და სვეტებში. ბეტონი – კლასი B 25. გადახურვის ფილის კონსტრუქციული გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ კონსტრუქციული პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების საფუძველზე სამშენებლოდ გამოყოფილი მოედანი 8 ბალიან ზონაშია. პასუხისმგებლობის მიხედვით შენობა მიეკუთვნება II კლასს.

შენობისა და მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება, მუდმივი საკუთარი წონა, დროებით (300კგძ/მ2) (200კგძ/მ2), თოვლის (50კგ/მ2) ქარის (144კგ/მ2) და ჰორიზონტალურ 0.17 გ აჩქარების (1.67მ/წმ2) შესაბამის სეისმურ დატვირთვაზე.

სეისმო მედეგობის კუთხით, შესაბამისად კონსტრუქციული დაგეგმარება წარმოებულია სწორი პრინციპით და დაცულია სეისმომედეგობის პირობები.

მათემატიკური მოდელირება (გაანგარიშება) განხორციელებულია LIRA-САПР2017 (ვერსია R3) პროგრამული კომპექსის მეშვეობით, სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. შენობის საანგარიშო მოდელი შედგენილია არქიტექტურული ნახაზების მიხედვით.

ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია გეოლოგიური მონაცემების და კონსტრუქციული სწორი საანგარიშო სქემის მიხედვით, რაც მოცემულია კონსტრუქციულ მუშა ნახაზებში და გათვლებში, შესაბამისად წარმოდგენილი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შედგენილია და დამუშავებულია სამშენებლო ნორმატივებისა და წესების დაცვით.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაცია და მასში მოცემული სასაწყობე შენობის კონსტრუქციული ნახაზები შესრულებულია სამშენებლო ნორმატივების, გეოლოგიური მონაცემების და წესების დაცვით, რომელიც სავსებით დამაკმაყოფილებელია აქედან გამომდინარე მოცემული დოკუმენტაცია სრულიად აკმაყოფილებს დღეისთვის მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

კონსტრუქტორი: თ. ჩალაძე



Georgia IDENTITY CARD
საქართველო
GEO

სახელი / FIRST NAME
თეიმურაზი
TEIMURAZI
გვარი / LAST NAME
ჩალაძე
CHALADZE
მოქ. / CIT. | სქესი / SEX | პირადი № / PERSONAL №
GEO | მ / M | 01017021189
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH | მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY
17.03.1958 | 06.09.2026
ბარათის № / CARD №
15IE33306
ხელმოწერა / SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ონი
ONI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.09.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სსიპ, დამამზადებელი: MB-IDS 2016
სუს-ს ლიცენზია № 26-3184

IDGE015IE33306701017021189<<<<
5803170M2609061GEO<<<<<<<<<<<8
CHALADZE<<TEIMURAZI<<<<<<<<<<<



დიპლომი

КВ № 153471

ეს დიპლომი მიეცა თეიმურაზ
გაბრიელის ძე ჩალაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985 წელს დაამთავრა
სამშენებლო
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
ხიდები და გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„25" ივნისის დადგენილებით
თ. გ. ჩალაძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. „24" 05
სარეგისტრაციო № 12120

Грузинский яз.

ДИПЛОМ

КВ № 153471

Настоящий диплом выдан Чаладзе
Теймуразу Габриеловичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В. И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс
названного
института
по специальности
мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной комиссии от „25" июня 1985 г.
Чаладзе Т. Г.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

М. П.

Город Тбилиси „24" 05 1986 г.
Регистрационный № 12120

Московская типография Гознака, 1982.

რეზიუმე - თეიმურაზ ჩალაძე

სახელი გვარი მამის სახელი	თეიმურაზი გაბრიელის ძე ჩალაძე
მისამართი და ტელეფონის ნომერი	ქალაქი თბილისი, მგლობლიშვილის ქუჩა №3 მობ:599870606
დაბადების თარიღი	17 მარტი 1958 წელი
განათლება	1985 წელს დავამთავრე თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი ფაკულტეტი – ხიდები და გვირაბები, სადაც მომენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	**1985 წლიდან – 1986 წლამდე** ხულონ გესზე გვირაბების მშენებლობის პროექტი - მთავარი სპეციალისტი **1986 წლიდან – 1988 წლამდე** ლარსის გაზგამტარი გვირაბების და ლითონის ხიდების მშენებლობის პროექტი - კონსტრუქტორი **1988 წლიდან – 1990 წლამდე** ჟინვალჰესის პიდროტექნიკური გვირაბის რეაბილიტაციის პროექტი მთავარი ინჟინერი **1991 წლიდან – 1992 წლამდე** ქალაქ თბილისის მეტრო დელისიდან ვაჟა ფშაველას მეტრომდე გადასახველელი გვირაბის მშენებლობის პროექტი მთავარი ინჟინერი **1991 წლიდან – 1992 წლამდე** დაბა სიონში დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობის პროექტი -კონსტრუქტორი **1992 წლიდან – 1993 წლამდე** ონის რაიონში მიწისძვრით დაზარალებული სახლების გადამაგრების და ახლის მშენებლობის პროექტი - ინჟინერი **1993 წლიდან – 1996 წლამდე** ქ. მოსკოვში მეტროპოლიტენის მიწასქვეშა სადგურებისა და გადასარბენი გვირაბების მშენებლობის პროექტი - კონსტრუქტორი **1996 წლიდან – 1998 წლამდე** ქ. მოსკოვში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის პროექტი - კონსტრუქტორი **1998 წლიდან – 2000 წლამდე** ქ. მოსკოვში სასტუმროების და სუპერმარკეტების მშენებლობის პროექტი - კონსტრუქტორი **2000 წლიდან – 2001 წლამდე** ქ. თბილისში მცხეთის ქუჩაზე მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობის პროექტი - ინჟინერი **2001 წლიდან – 2002 წლამდე** კრწანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტი – მთავარი კონსტრუქტორი **2002 წლიდან – 2003 წლამდე** ქ. თბილისში სპორტის სასახლის მიმდებარედ მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის პროექტი - კონსტრუქტორი **2003 წლიდან – 2010 წლამდე** გრემში მიუსაფარ ბავშვთა კომპლექსის მშენებლობის პროექტი - მთავარი კონსტრუქტორი **2010 წლიდან – 2014 წლამდე** სვანეთის რეგიონში ახალი რკინა ბეტონის ხიდის მშენებლობის პროექტი – პროექტის ზედამხედველი კონსტრუქციულ ნაწილში **2014 წლიდან –დღემდე** შპს „ნიუ პოინტ“ -მთავარი კონსტრუქტორი **2015 წლიდან – 2016 წლამდე** დაბა ასურეთში ასფალტის, ბეტონის გზისა და სანიაღვრე არხების მშენებლობის პროექტი – პროექტის ზედამხედველი კონსტრუქციულ ნაწილში **2016 წლიდან – 2018 წლამდე** ონის მუნიციპალიტეტში სპორტული კომპლექსისა და გამშვები შენობის რეაბილიტაციის პროექტი – პროექტის ზედამხედველი კონსტრუქციულ ნაწილში **2018 წლიდან – 2019 წლამდე** შინდისში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის პროექტის კონსტრუქტორი **2019 წლიდან – 2020 წლამდე** ქ. თბილისში ხიდების საექსპორმაციო შეკეთების მოწყობის პროექტი პროექტის ზედამხედველი კონსტრუქციულ ნაწილში **2020 წლიდან – დღემდე** ქ. თბილისში გზაგამტარი ხიდების რეაბილიტაციის პროექტი – პროექტის ზედამხედველი კონსტრუქციულ ნაწილში